მობილური აპლიკაციის გამოყენების წესები და პირობები

გამოყენების წესები და პირობები

აღნიშნული გამოყენების წესები და პირობები ბოლოს ჩასწორდა 2023 წლის 25 ოქტომბერს.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ გამოყენების წესებსა და პირობებს აღნიშნული სერვისის გამოყენებამდე.

ინტერპრეტაცია და განმარტებები

ინტერპრეტაცია

იმ სიტყვათა მნიშვნელობები რომელებიც დიდი ასოთი იწყება, უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად. ამგვარი სიტყვების განმარტებები არ იცვლება არც მხოლობით და არც მრავლობით რიცხვში.

განმარტებები

წინამდებარე გამოყენების წესებისა და პირობების გათვალისწინებით:

- „აპლიკაცია" აღნიშნავს კომპანიის მიერ შეთავაზებულ პროგრამას, რომელიც გადმოსაწერად ხელმისაწვდომია ნებისმიერ ელექტრონულ მოწყობილობაზე, სახელწოდებით BFine.

- „მობილური აპლიკაციის მაღაზია" აღნიშნავს ციფრულ სადისტრიბუციო სერვისს, რომელიც შექმნილია და ოპერირებს კორპორაცია Apple-ის (Apple App Store) ან კორპორაცია Google - ის (Google Play Store) მიერ, საიდანაც შესაძლებელია აპლიკაციის გადმოწერა.

- „აფილირებული პირი" აღნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც თავად ფლობს, მფლობელობაშია ან გარეშე პირთან შეთანხმებულ მფლობელობაშია, სადაც „ფლობაში" მოიაზრება კომპანიის აქციათა, კაპიტალის ან ნებისმიერი სხვა ფასიანი ქაღალდის 50% ან მეტი წილის ფლობა, რომელთა მფლობელი უფლებამოსილია აირჩიოს დირექტორთა ან სახელმძღვანელო საბჭოს წევრები.

- „ექაუნთი" აღნიშნავს მომხმარებლის მიერ შექმნილ ცალკეულ ექაუნთს, რომელსაც სრული ან ნაწილობრივი წვდომა აქვს ჩვენ სერვისთან.

- „კომპანია" (წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულია როგორც „კომპანია", „ჩვენ", „ჩვენს" ან „ჩვენი") აღნიშნავს შპს შუბო-ს.

„ქვეყანა" აღნიშნავს საქართველოს.

„კონტენტი" აღნიშნავს ტექსტუალურ, გრაფიკულ ან სხვა სახის საინფორმაციო შინაარსს, რომელის ატვირთვა, განთავსება, დალინკვა ან სხვა სახით გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი მომხმარებლის მიერ, განურჩევლად იმისა, თუ რა სახისაა მოცემული კონტენტი.

„მოწყობილობა" აღნიშნავს ნებისმიერ მოწყობილობას, რომელსაც წვდომა აქვს სერვისთან. მაგ: სმარტფონი ან ციფრული ტაბლეტი.
„უკუკავშირი" აღნიშნავს მომხმარებლის შენიშვნებს, შეფასებებსა თუ გამოხმაურებებს სერვისის ან მისი რომელიმე ატრიბუტის გაუმჯობესების მიზნით.

- „სერვისი" აღნიშნავს ვებ-გვერდს.

- „გამოყენების წესები და პირობები" (შემოკლებით „წესები") აღნიშნავს კომპანიასა და მომხმარებელს შორის სერვისის გამოყენებასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს.

- „შუამავალი სოციალური მედია სერვისი" აღნიშნავს შუამავალი კომპანიის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერი სახის სერვისს ან კონტენტს (მათ შორის, მონაცემთა ბაზა, საინფორმაციო ბაზა, პროდუქტები და სერვისები), რომელთა ნებისმიერი სახით გამოყენება შესაძლებელია წინამდებარე სერვისის მიერ.

- „ვებ-გვერდი" აღნიშნავს www.bfine.ge-ის, რომელთანაც წვდომა შესაძლებელია ვებ-გვერდით bfine.ge

- „მომხმარებელი" აღნიშნავს ცალკეულ პირს, რომელსაც წვდომა აქვს წინამდებარე სერვისთან, კომპანიასთან ან ნებისმიერ სხვა იურიდიულ ორგანიზაციასთან, რომელთა მეშვეობითაც პირი უფლებამოსილია შესაბამისი წვდომა ჰქონდეს წინამდებარე სერვისზე.

აპლიკაციის აღწერილობა

BFine არის აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააკონტროლოს და გადაიხადოს ჯარიმები ონლაინ რეჟიმში. მომხმარებლის მართვის ჩანაწერთა ანალიზის მეშვეობით, BFine-ს შეუძლია აჩვენოს ნებისმიერი გადაუხდელი ჯარიმა. აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში რეგულარულად ანახლებს და ამოწმებს მონაცემებს ადგილობრივი იურისდიქციის მეშვეობით, რათა სისტემაში რაიმე ახალი ინფორმაციის მიღებისას, მძღოლის დროული შეტყობინება მოხდეს.

BFine-ზე ნავიგაცია მარტივია მისი თანამედროვე ინტერფეისის წყალობით. მომხმარებლებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი მართვის ჩანაწერი ან გადაიხადონ ჯარიმა სულ რაღაც ერთი დაწკაპუნებით და ყოველთვის საქმის კურსში იყვნენ საკუთარი ავტომობილის სტატუსის შესახებ. თუ მძღოლი მანქანის გაყიდვას გადაწყვეტს, მას შეუძლია აპლიკაციიდან წაშალოს მონაცამები, რათა მისი ახალ ავტომობილად რეგისტრაცია იყოს შესაძლებელი.

თანხმობა

ქვემოთ მოცემული წესები და პირობები, არეგულირებს ამ სერვისის გამოყენებას და ხელშეკრულებას, რომელიც მოქმედებს თქვენსა და კომპანიას შორის. წინამდებარე წესები და პირობები ადგენს თითოეული მომხმარებლის უფლებასა და მოვალეობას სერვისის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სერვისზე წვდომა და მისი გამოყენება გულისხმობს იმას, რომ თქვენთვის მისაღებია ის და თანხმობას აცხადებთ მასზე. მოცემული წესები და პირობები ვრცელდება ყველა ვიზიტორზე, მომხმარებელსა და

ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე, რომელსაც წვდომა აქვს და იყენებს ამ სერვისს.

სერვისზე წვდომით ან მისი გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით ამ წესებსა და პირობებს. თუ მის რომელიმე ნაწილს არ ეთანხმებით, მაშინ შესაძლოა სერვისზე თქვენი წვდომა შეიზღუდოს. თქვენ ადასტურებთ, რომ ხართ სრულწლოვანი. 18 წლამდე პიროვნებებს კომპანია სერვისზე წვდომას არ ანიჭებს.

სერვისზე წვდომა და მისი გამოყენება ასევე გულისხმობს, რომ თქვენ ეთანხმებით და იზიარებთ კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკას. ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა ეხება თქვენი პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას, გამოყენებასა და გამჟღავნებას. ჩვენი საიტის ან აპლიკაციის გამოყენებისას, თქვენ გეცნობებათ კონფიდენციალურობის უფლებების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ გიცავთ კანონი. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა ჩვენი სერვისის გამოყენებამდე.

სერვისზე წვდომით ან მისი გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით იმას, რომ ბართით გადახდის შემდეგ ავტომატურად ინახება ბარათის მონაცემები, როგორიცაა ბარათის ნომერი, ვადის გასვლის თარიღი, აუთენტურობის კოდი ან სხვა ინფორმაცია. ეს უკანასკნელი არ ინახება ჩვენს ვებგვერდზე, რადგან გადახდა ხდება ჩვენი პარტნიორი ბანკის უსაფრთხოების სერვერზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება თქვენი ბარათის ინფორმაციაზე (გარდა ბარათის ტიპისა და ვალიდურობის მაიდენტიფიცირებელი პირველი ექვსი და ბოლო ოთხი ციფრისა).

თქვენთვის ცნობილია, რომ ბარათ

მომხმარებლის ანგარიში

თქვენი ანგარიშის შექმნისას, უნდა მოგვაწოდოთ ზუსტი, სრულყოფილი და ვალიდური ინფორმაცია. აღნიშნულის შეუსრულებლობა წარმოადგენს პირობების დარღვევას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თქვენი ანგარიშის დაუყოვნებლად გაუქმება.

სერვისის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო პაროლის დაცვაზე პასუხისმგებლობა თავად გეკისრებათ. მიუხედავად იმისა, თავად თქვენ იყენებთ მას, თუ მესამე მხარე, წარმოდგენილი სოციალური მედიის სერვისის სახით.

თქვენ ეთანხმებით, რომ არ გაუზიარებთ პაროლს მესამე მხარეს. უსაფრთხოების ნებისმიერი დარღვევის ან თქვენი ანგარიშის არაავტორიზებული გამოყენების შესახებ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ.

მომხმარებლის სახელში, მიუღებელია სხვა პირის ან იმ ერთეულის სახელის გამოყენება, რომელიც კანონიერად მიუწვდომელია ან ისეთი სახელი, თუ სასაქონლო ნიშანი, რომელიც თქვენს დაქვემდებარებაში არაა ან არ ფლობს შესაბამის ავტორიზაციას. მიუღებელია ასევე შეურაცხმყოფელი, ვულგარული ან უხამსი სახელების გამოყენება.

კონტენტი

კონტენტის განთავსება თქვენი უფლებაა.

ჩვენი სერვისი საშუალებას გაძლევთ განათავსოთ კონტენტი. სერვისში გამოქვეყნებულ კონტენტზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ. ასევე მის კანონიერებაზე, სანდოობაზე და მიზანშეწონილობაზე.

სერვისში კონტენტის გამოქვეყნებით, თქვენ გვაძლევთ უფლებას და ნებართვას გამოვიყენოთ, შეცვალოთ, გავასაჯაროვოთ, გავამრავლოთ და გავავრცელოთ ასეთი კონტენტი სერვისზე და სერვისის მეშვეობით. თქვენ ინარჩუნებთ ნებისმიერი სახის და ყველა შესაძლო უფლებას იმ კონტენტზე, რომელსაც წარადგენთ, აქვეყნებთ ან აზიარებთ სერვისზე ან სერვისის მეშვეობით. პასუხისმგებლობა მოცემული უფლებების დაცვაზე გენიჭებათ თქვენ. თქვენ ეთანხმებით, რომ ეს ნებართვა მოიცავს ჩვენს უფლებას, გავხადოთ თქვენი კონტენტი ხელმისაწვდომი სერვისის სხვა მომხმარებლებისთვის, რომლებსაც ასევე შეუძლიათ გამოიყენონ თქვენი კონტენტი წინამდებარე პირობების შესაბამისად.

თქვენ ადასტურებთ, რომ: (i) კონტენტი თქვენია (თქვენ ფლობთ მას) ან გაქვთ უფლება, გამოიყენოთ იგი და მოგვცეთ ნებართვა, როგორც ეს მოცემულია ამ პირობებში, და (ii) თქვენი კონტენტის გამოქვეყნება სერვისში ან გავრცელება მისი მეშვეობით არ არღვევს კონფიდენციალურობის, საჯაროობის, საავტორო, კონტრაქტის ან ნებისმიერი სხვა პირის უფლებებს.

კონტენტის შეზღუდვები

კონტენტის შინაარსზე კომპანია არ არის პასუხისმგებელი. თქვენ ზუსტად გესმით და ეთანხმებით, რომ თქვენ ხართ ერთადერთი პასუხისმგებელი პირი კონტენტზე და თქვენს ანგარიშე განხორციელებულ ყველა აქტივობაზე, იქნება ეს თქვენი ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ, რომელიც იყენებს თქვენს ანგარიშს.

თქვენ არ შეგიძლიათ გააზიაროთ ისეთი კონტენტი, რომელიც არის უკანონო, შეურაცხმყოფელი, შემაშფოთებელი, ზიზღის გამომხატველი, მუქარის შემცველი, ცილისმწამებლური, უხამსი ან სხვაგვარად მიუღებელი. ქვემოთ მოცემულია ასეთი საეჭვო შინაარსის მაგალითები არასრული სახით:

- უკანონო ან უკანონობის წამახალისებელი აქტივობა.
- ცილისმწამებლური, დისკრიმინაციული ან ზიზღის შემცველი შინაარსი, მათ შორის, მითითებები ან კომენტარები რელიგიის, რასის, სექსუალური ორიენტაციის, სქესის, ეროვნული/ეთნიკური წარმომავლობის ან სხვა სამიზნე ჯგუფების შესახებ.
- სპამი ან შემთხვევით გენერირებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს არაავტორიზებულ ან არასასურველ რეკლამას, ჯაჭვურ წერილებს, არაავტორიზებული მოთხოვნის ნებისმიერ სხვა ფორმას ან ლატარიის ან აზარტული თამაშების ნებისმიერ გამოვლინებას.
- ნებისმიერი ვირუსის, მავნე პროგრამის, შეცდენის მცდელობის ან მსგავსი ინფორმაციის შემცველი კონტენტი, რომელიც გამიზნულია ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის, აპარატურის ან სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის ფუნქციონირების ჩაშლისკენ, დაზიანებისკენ ან

შეზღუდვისათვისკენ ან რაიმე მონაცემზე არაავტორიზებული წვდომის მისღებისკენ ან მესამე პირის სხვა ინფორმაციის უკანონო მოპოვებებისკენ.

- ნებისმიერი მხარის საკუთრების უფლების დარღვევა, მათ შორის, პატენტის, სავაჭრო ნიშანის, სავაჭრო საიდუმლოების, საავტორო უფლების, საჯაროობის ან სხვა უფლების დარღვევა.
- ნებისმიერი პირის ან ერთეულის, მათ შორის, კომპანიისა და მისი თანამშრომლების ან წარმომადგენლების პერსონაცია.
- ნებისმიერი მესამე მხარის პირადი სივრცის უპატივცემულობა.
- ცრუ ინფორმაციის ან ნიშნების გავრცელება.

კომპანია იტოვებს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, თავისი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს, არის თუ არა რომელიმე კონტენტი შესაბამისი და შეესაბამება თუ არა წარმოდგენილ პირობებს. მას უფლება აქვს, უარი თქვას ან წაშალოს ეს კონტენტი. კომპანია ასევე იტოვებს უფლებას, მომავალში დააფორმატიროს, დაარედაქტიროს ან შეცვალოს ნებისმიერი შინაარსის წესი. კომპანიას ასევე შეუძლია შეზღუდოს ან გააუქმოს სერვისის გამოყენება, თუ თქვენ გამოაქვეყნებთ ასეთ საეჭვო კონტენტს.

ვინაიდან კომპანია ვერ აკონტროლებს სერვისზე მომხმარებლების ან/და მესამე მხარის მიერ გამოქვეყნებულ მთელ კონტენტს, თქვენ თავად აცნობიერებთ სერვისის გამოყენების რისკებს. სერვისის გამოყენებით, შესაძლოა თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს ისეთი კონტენტი, რომელიც თქვენთვის შეურაცხმყოფელი, უხამსი, არასწორი ან საძაგელია. თქვენ ეთანხმებით, რომ კომპანია არავითარ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე კონტენტზე, მათ შორის, შეცდომებსა და დაუდევრობაზე ნებისმიერ გავრცელებულ კონტენტში ან რაიმე სახის დანაკარგსა ან დაზიანებაზე, რაც გამოწვეულია თქვენს მიერ, ნებისმიერი შინაარსის კონტენტის გამოყენებით.

კონტენტის სარეზერვო ასლები

მიუხედავად იმისა, რომ კონტენტის სარეზერვო ასლები რეგულარულად მზადდება, კომპანია არ იძლევა გარანტიას, მონაცემების დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილების შესახებ.

დაზიანებული ან არასწორი სარეზერვო ასლების წარმოშობა შეიძლება გამოწვეული იყოს, შეზღუდვის გარეშე, კონტენტით, რომელიც დაზიანებულია სარეზერვო ასლის შექმნამდე ან იცვლება სარეზერვო ასლის შექმნის დროს.

კომპანია უზრუნველყოფს მხარდაჭერას და შეეცდება აღმოფხვრას ნებისმიერი არსებული ან აღმოჩენილი პრობლემა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონტენტის სარეზერვო ასლზის შექმნაზე. მაგრამ თქვენ აცნობიერებთ, რომ კომპანიას არ აქვს პასუხისმგებლობა კონტენტის მთლიანობასთან ან კონტენტის წარმატებით აღდგენასთან, ისე რომ ის ხელმისაწვდომი იყოს სრული სახით.

თქვენ თანახმა ხართ, რომ შეინახოთ ნებისმიერი კონტენტის სრული და ზუსტი ასლი სერვისისგან დამოუკიდებელ ადგილას.

საავტორო პოლიტიკა

ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა

ჩვენ პატივს ვცემთ სხვების ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. ჩვენი პოლიტიკაა გამოვეხმაუროთ ნებისმიერ პრეტენზიას, რომ სერვისზე განთავსებული კონტენტი არღვევს საავტორო უფლებებს ან წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების დარღვევას ნებისმიერი სხვა პირისთვის.

თუ თქვენ ხართ საავტორო უფლებების მფლობელი ან სხვა პირის ავტორიზებული წარმომადგენელი და თვლით, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევარი დაკოპირებულია ისე, რომ წარმოადგენს საავტორო უფლებების დარღვევას, რომელიც ხდება ჩვენი სერვისის მეშვეობით, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შეტყობინება წერილობით, ჩვენი საავტორო უფლებების აგენტის ელ. ფოსტაზე: info@bfine.ge და შეტყობინებას თან დაურთოთ სავარაუდო დარღვევის დეტალური აღწერა.

საავტორო უფლების დარღვევის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენისათვის, თქვენ შესაძლოა დაგეკისროთ მიყენებული ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობა (მათ შორის, ხარჯები და ადვოკატის საფასური).

თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ინფორმაცია ციფრული ათასწლეულის საავტორო უფლებების აქტის შესაბამისად, წერილობითი სახით, შემდეგი ინფორმაციის მიხედვით: (იხილეთ 17 U.S.C 512(c)(3) დამატებითი დეტალებისთვის):

- საავტორო უფლებების ინტერესების მფლობელის სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირის ელექტრონული ან ფიზიკური ხელმოწერა.

საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევარის აღწერა, რომელიც თქვენ ფიქრობთ, რომ დაირღვა, მათ შორის URL (მაგ. ვებ-გვერდის მისამართი) იმ ადგილის, სადაც საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევარი არსებობს ან საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების ასლი.

- URL-ის ან სხვა კონკრეტული მდებარეობის იდენტიფიკაცია სერვისზე, სადაც განთავსებულია მასალა, რომელიც თქვენ მტკიცებისამებრ, არღვევს უფლებებს.

- თქვენი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი.

- თქვენი განცხადება, რომ ნამდვილად გაქვთ კეთილსინდისიერი რწმენა, რომ სადავო გამოყენების კონტენტი არ არის ავტორიზებული საავტორო უფლებების მფლობელის, მისი აგენტის ან კანონის მიერ.

- თქვენი განცხადება, გაცნობიერებული ცრუ ჩვენების შესაძლო სასჯელით, რომ თქვენს შეტყობინებაში ზემოაღნიშნული ინფორმაცია ზუსტია და რომ თქვენ ხართ საავტორო უფლებების მფლობელი ან უფლებამოსილი, იმოქმედოთ საავტორო უფლებების მფლობელის სახელით.

ჩვენს საავტორო უფლებების აგენტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: info@bfine.ge.

შეტყობინების მიღებისთანავე, კომპანია მიიღებს შესაბამის ზომებს, თავისი შეხედულებისამებრ, რასაც მიზანშეწონილად ჩათვლის, რაც შესაძლოა გულისხმობდეს სადავო კონტენტის სერვისიდან წაშლას.

ინტელექტუალური საკუთრება

ჩვენი სერვისი და მისი ორიგინალი კონტენტი (თქვენი ან სხვა მომხმარებლების მიერ მოწოდებული კონტენტის გამოკლებით), ფუნქციები და ფუნქციონირება არის და დარჩება კომპანიისა და მისი ლიცენზირების ექსკლუზიურ საკუთრებაში.

სერვისი დაცულია როგორც ქვეყნის, ასევე უცხო ქვეყნების საავტორო უფლებებით, სავაჭრო ნიშნებითა და სხვა კანონმდებლობებით.

ჩვენი სავაჭრო ნიშნები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რომელიმე პროდუქტთან ან სერვისთან დაკავშირებით, კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

თქვენი უკუკავშირი

თქვენ ანიჭებთ ყველა უფლებას, ტიტულს და ინტერესს ნებისმიერ უკუკავშირზე, რომელსაც თქვენ მიაწვდით კომპანიას. თუ რაიმე მიზეზით ასეთი მინიჭება არაეფექტურია, თქვენ თანახმა ხართ, მიანიჭოთ კომპანიას არაექსკლუზიური, მუდმივი, შეუქცევადი, ჰონორარის გარეშე, მსოფლიოში მოქმედი უფლება და ლიცენზია გამოიყენოს, მოახდინოს რეპროდუცირება, გაამჟღავნოს, გაუწიოს ქველიცენზირება, გაავრცელოს, შეცვალოს და გაუწიოს ექსპლუატაცია ასეთ უკუკავშირს, შეზღუდვის გარეშე.

სხვა ვებ-გვერდების ბმულები

ჩვენი სერვისი შეიძლება შეიცავდეს ბმულებს მესამე მხარის ვებ-გვერდებზე ან სერვისებზე, რომლებიც არ ეკუთვნის ჩვენს კომპანიას და არ კონტროლდება ჩვენი კომპანიის მიერ.

კომპანია არ აკონტროლებს და არ იღებს პასუხისმგებლობას მესამე მხარის ვებ-გვერდების ან სერვისების შინაარსზე, კონფიდენციალურობის პოლიტიკასა ან მის გამოყენებაზე. თქვენ ასევე აღიარებთ და ეთანხმებით, რომ კომპანია არ არის პასუხისმგებელი ან ვალდებული, პირდაპირ ან ირიბად, რაიმე სახის დაზიანებაზე ან ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ან სავარაუდოდ გამოწვეულია ნებისმიერი ასეთი შინაარსის, საქონლის ან სერვისის გამოყენებასთან მსგავს ვებ-გვერდზე ან მისი მეშვეობით.

ჩვენ დაჟინებით გირჩევთ, წაიკითხოთ მესამე მხარის ვებ-გვერდის ან სერვისის წესები და პირობები და მათი კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

შეწყვეტა

ჩვენ უფლება გვაქვს, გავაუქმოთ ან დროებით შევზღუდოთ თქვენი ანგარიში, წინასწარი შეტყობინების ან პასუხისმგებლობის გარეშე, რაიმე მიზეზით, მათ შორის შეუზღუდავი ვადით, თუ თქვენ დაარღვევთ ამ წესებსა და პირობებს.

შეწყვეტის შემდეგ, დაუყოვნებლივ გაგიუქმდებათ სერვისით სარგებლობის უფლება. თუ გსურთ თქვენი ანგარიშის შეწყვეტა, შეგიძლიათ უბრალოდ შეწყვიტოთ სერვისის გამოყენება.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მიუხედავად ნებისმიერი სახის ზიანისა, რომელიც შეიძლება ჩვენი სერვისით სარგებლობამ მოგიტანოთ, კომპანიისა და მისი ნებისმიერი მიმწოდებლის მთელი პასუხისმგებლობა, ამ პირობების ნებისმიერი დებულების და ექსკლუზიური შეთანხმების ყველა ზემოაღნიშნულის ნაწილის გათვალისწინებით, შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც რეალურად გადაიხადეთ სერვისის მეშვეობით ან 100 აშშ დოლარით, თუ სერვისის საშუალებით არაფერი შეგიძენიათ.

მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ზომამდე, კომპანია ან მისი მომწოდებლები არავითარ შემთხვევაში არ არიან პასუხისმგებელნი რაიმე განსაკუთრებულ, შემთხვევით, ირიბ ან თანმიმდევრულ ზიანზე (მათ შორის, მოგების დაკარგვა, მონაცემების ან სხვა ინფორმაციის დაკარგვა, ბიზნესის შეფერხება, პირადი სახის დაზიანება, კონფიდენციალურობის დარღვევა, რაც რაიმე გზით დაკავშირებულია სერვისის გამოყენებასთან ან გამოყენების შეუძლებლობასთან, მესამე მხარის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელიც გამოიყენება სერვისთან დაკავშირებით), მაშინაც კი, თუ კომპანიას ან რომელიმე მიმწოდებელს ეცნობა ასეთი ზიანის შესაძლებლობის შესახებ და მაშინაც კი, თუ ის არ ასრულებდა თავის ძირითადად დანიშნულებას.

ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლბის თანახმად, დაუშვებელია ზემოთ მოყვანილი გარანტიების გაბათილება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა შემთხვევითი ან თანმიმდევრული ზიანისთვის, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შეიძლება არ იყოს გამოყენებული. ასეთ სახელმწიფოებში თითოეული მხარის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება კანონით ნებადართული ზომით.

„როგორც არის" და „როგორც ხელმისაწვდომია" პასუხისმგებლობის შეზღუდვა

სერვისი მოგეწოდებათ თქვენ „როგორც არის" და „როგორც ხელმისაწვდომია", ყველა ხარვეზით და დეფექტით, რაიმე სახის გარანტიის გარეშე. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ზომამდე, კომპანია, მისი შვილობილი კომპანიების და მათი შესაბამისი ლიცენზიანტების და სერვისის პროვაიდერების სახელით, უარს ამბობს ყველა გარანტიაზე, იქნება ეს მკაფიო, ნაგულისხმევი, კანონიერი თუ სხვა. მათ შორის, იგულისხმება სერვისთან დაკავშირებული ყველა ნაგულისხმევი გარანტია ვაჭრობის, კონკრეტული მიზნისთვის ვარგისიანობის, ტიტულის შესახებ და გარანტიები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გარიგების, შესრულების, გამოყენების ან სავაჭრო პრაქტიკის შედეგად.

წინასწარი შეზღუდვის გარეშე, კომპანია არ იძლევა გარანტიას და არ იღებს ვალდებულებას, რომ სერვისი დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნებს, მიაღწევს დანიშნულ შედეგს, იქნება თავსებადი ან იმუშავებს სხვა პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აპლიკაციებთან, სისტემებთან ან სერვისებთან მიმართებაში. იმუშავებს შეუფერხებლად, დააკმაყოფილებს შესრულების ან სანდოობის ნებისმიერ სტანდარტს ან იქნება უშეცდომო ან ნებისმიერი შეცდომა ან დეფექტი გამოსწორდება.

ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე, არც კომპანია და არც კომპანიის რომელიმე პროვაიდერი არ იძლევა რაიმე სახის წარმოდგენას ან გარანტიას, გამოხატულ ან ნაგულისხმევზე: (i) სერვისის ფუნქციონირების ან ხელმისაწვდომობის ან ინფორმაციის, შინაარსის ან პროდუქტების შესახებ. მასში იგულისხმება: (ii) რომ სერვისი იქნება უწყვეტი ან შეცდომების გარეშე; (iii) სერვისის მეშვეობით მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ან კონტენტი იქნება ზუსტი, სანდო ან დადასტურებული; ან (iv) რომ სერვისი, მისი სერვერები, ან კომპანიისგან ან მისი სახელით გამოგზავნილი ელ.ფოსტა არ შეიცავს ვირუსებს, სკრიპტებს, შეცდენის მცდელობას, მავნე პროგრამებს ან სხვა მავნე კომპონენტებს.

ზოგიერთი იურისდიქცია არ იძლევა გარკვეული სახის გარანტიების გამორიცხვას ან მომხმარებლის კანონიერი უფლებების შეზღუდვას, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა გამონაკლისი და შეზღუდვა შეიძლება არ გავრცელდეს თქვენზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ჩამოყალიბებული გამონაკლისები და შეზღუდვები განპირობებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით.

მარეგულირებელი კანონი

ამ პირობებსა და თქვენ მიერ სერვისით სარგებლობას არეგულირებს ქვეყნის კანონმდებლობა, კანონის წესების კონფლიქტის გამოკლებით. თქვენ მიერ აპლიკაციის გამოყენება შეიძლება ასევე დაექვემდებაროს სხვა ადგილობრივ, სახელმწიფო, ეროვნულ ან საერთაშორისო კანონებს.

დავის გადაწყვეტა

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვები სერვისთან დაკავშირებით ან ეწინააღმდეგებით მას, თანხმობას აცხადებთ, რომ დავის გადაჭრა ჯერ არაფორმალურად სცადოთ და დაუკავშირდეთ კომპანიას.

გამოყოფა და უარის თქმა

გამოყოფა

თუ წინამდებარე პირობების რომელიმე დებულება ჩაითვლება შეუსრულებლად ან ძალადაკარგულად, ასეთი დებულება შეიცვლება და მის შესასრულებლად მიზნები განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი დებულებები გაგრძელდება სრული ძალაუფლებით.

უარის თქმა

გარდა წინამდებარე პუნქტისა, პირობის შეუსრულებლობა ან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ იმოქმედებს მხარის უნარზე, განახორციელოს ეს უფლება ან მოითხოვოს მისი შესრულება შემდგომში, ნებისმიერ დროს. არც დარღვევაზე უარის თქმა არ იქნება შემდგომ დარღვევაზე უარის თქმის მიზეზი.

ცვლილება მოცემულ წესებსა და პირობებში

უფლებას ვიტოვებთ, ჩვენი შეხედულებისამებრ, შევცვალოთ ან ჩავანაცვლოთ მოცემული პირობები ნებისმიერ დროს. თუ ცვლილება მატერიალურია, არ დავიშურებთ გონივრულ ძალისხმევას, რათა მივაწოდოთ შეტყობინება მინიმუმ 30 დღით ადრე რაიმე ახალი პირობების ამოქმედებამდე. ის, თუ, რა წარმოადგენს მატერიალურ ცვლილებას, განისაზღვრება ჩვენი შეხედულებისამებრ.

ამ ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, ჩვენს სერვისზე წვდომის ან გამოყენების გაგრძელებით, თქვენ ეთანხმებით განახლებულ პირობებს. თუ თქვენ არ ეთანხმებით ახალ პირობებს, სრულად ან ნაწილობრივ, გთხოვთ, შეწყვიტოთ ვებ-გვერდის და სერვისის გამოყენება.

დაგვიკავშირდით

თუ მოცემულ წესებთან და პირობებთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვები გაქვთ, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

- ჩვენი ვებ-გვერდის საშუალებით: www.bfine.ge
- გამოგვიგზავნეთ ელ.ფოსტა მისამართზე: info@bfine.ge